10 მაისს გაიმართა სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის IX ტურის მატჩები უმაღლეს ლიგაში, საქართველოს ორივე გუნდმა სტუმრად ითამაშა.

ძალზე სუსტად, უსისტემოდ, ყოველგვარ კრიტიკაზე დაბლა ჩაატარეს მატჩი ბაქოს „ნეფთჩისთან“ თბილისის დინამოელებმა.

საერთოდ, ბოლო რამდენიმე წელია ბაქოელი ფეხბურთელები წარმატებით იბრძვიან თბილისის „დინამოს“ წინააღმდეგ საკუთარ მინდორზეც და თბილისშიც. უკვე ეს ამბავი აშკარა სიგნალია, რომ „ნეფთჩი“ ახლა მეტად ძნელი კონკურენტია და მასთან ყოველ შეხვედრას საგანგებო ყურადღებით მოპყრობა ესაჭიროება. ამჟამად კი, როცა უკვე რამდენიმე ტურია თბილისის „დინამო“ უმაღლესი ლიგის სატურნირო ცხრილში მკვიდრად ზის ბოლო ადგილებზე, ეს ამოცანა გაცილებით უფრო რეალურ ფორმებს ღებულობს. ბაქოში ჩვენს ფეხბურთელებს უნდა ეთამაშათ ისე, როგორც არასდროს. გუნდი იყო კიდეც საამისოდ განწყობილი, მაგრამ...

„ნეფთჩისთან“ შეხვედრის დასაწყისს თითქოს არა უშავდა. დინამოელებმა აქტიურად დაიწყეს თამაში. ისინი არაფერს უთმობდნენ მეტოქეებს, თავგამოდებით იბრძოდნენ შუა მინდორზეც, დაცვაშიც, აქტიურ თამაშს ამ მატჩში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და პირველი 45 წუთის მანძილზე თბილისელებმა არ დაიშურეს ძალღონე, მაგრამ აშკარად შესამჩნევი იყო, რომ თამაშის მთელი სიმძიმე შუა ხაზისა და დაცვის რგოლებს დააწვა. შეტევაში კი, არსებითად, არავის არაფერი გამოსდიოდა. წინა ხაზზე არ იყო არც ერთი ფეხბურთელი, რომელიც რამდენადმე მაინც გამოიჩენდა თავს თავდასხმაში და ხიფათს შეუქმნიდა „ნეფთჩის“. ამის გამო ბაქოელებს სრული შესაძლებლობა მიეცათ დაცვის ხაზის მოთამაშეებიც ჩაერთოთ შეტევებში.

ასე გავიდა 15, 25, 35 წუთი, მერე კი თანდათან თავი იჩინა, იმან, რომ „დინამო“ ფაქტიურად არ უტევდა და მხოლოდ შუა მინდორზე მოქმედებდა, რის გამოც ბაქოელებს შესაძლებლობა მიეცათ დაცვის ხაზის მოთამაშეებიც ჩაერთოთ შეტევებში.

ასე გავიდა 15, 25, 35 წუთი, მერე კი თანდათან თავი იჩინა იმან, რომ „დინამო“ ფაქტიურად არ უტევდა და მხოლოდ შუა მინდორზე მოქმედებდა, რის გამოც ბაქოელებს შესაძლებლობა მიეცათ ტაიმის დასასრულს რამდენიმე მეტად სახიფათო შემტევი კომბინაცია განეხორციელებინათ. მე-40 წუთზე დინამოელთა კარი ნაღდ გოლს გადაურჩა. სულეიმანოვის ძლიერი დარტყმა ძელმა მოიგერია. წუთის შემდეგ კი აჰმედოვმა კარგად გამოიყენა ფლანგური გადაცემა და თავით გაგზავნა ბურთი თბილისელთა კარში - 1:0.

თუ „დინამოს“ თამაშში პირველ ტაიმში საბრძოლო მზადყოფნა და, თუნდაც, საკუთარი კარის დაცვის მისწრაფება იგრძნობოდა, შესვენების შემდეგ გუნდის თამაში საერთოდ მოიშალა. ფეხბურთელები, ეტყობა, არც ფიზიკურად, არც მორალურად სათანადოდ მზად არ აღმოჩნდნენ ამ მძიმე ბრძოლის გადასატანად. მათ მთლიანად დათმეს შუა მინდორი და მატჩი ისე მიმდინარეობდა, როგორც ეს „ნეფთჩის“ სურდა. „დინამოს“ თავდამსხმელები პირველ ტაიმში, ასეა თუ ისე, რაღაც მოჩვენებით

აქტიურობას მაინც იჩენდნენ. მატჩის ბოლოს კი მათ საერთოდ აღარაფერი გაუკეთებიათ საიმისოდ, რომ თუნდაც შეეფერხებინათ, დაებრკოლებინათ ბაქოელთა გუნდის საიერიშო მოქმედებანი. ბრძოლას ვაგებდით მინდვრის ყველა ნაწილში, ყველა ზონაში. ამიტომ, როცა გარიბოვმა მე-60 წუთზე და სულეიმანოვმა 75-ე წუთზე კიდევ ორი ბურთი გაიტანეს დინამოელთა კარში, ყველაფერი ეს ბაქოს „ნეფთჩის“ აშკარა უპირატესობის პირდაპირი შედეგი იყო - 3:0.

სხვათ შორის, წლევანდელ ჩემპიონატში არც „ნეფთჩის“ ადგია უკეთესი დღე. სწორედ ამ მატჩის წინ გუნდში რეორგანიზაცია მოხდა. შეცვალეს უფროსი მწვრთნელი, შეცვალეს ძირითადი შემადგენლობის რამდენიმე ფეხბურთელიც და ბაქოელებმა 2 ქულის აღებასთან ერთად დიდი ანგარიშით გამარჯვება ჩაწერეს თავიანთ აქტივში.

ამ მატჩში გუნდებმა ასეთი შემადგენლობებით ითამაშეს: **„ნეფთჩი“ - ჟიდკოვი, ფედოროვსკი, ბელიალოვი, მირზოევი, პანჩიკი, სულეიმანოვი (აბდულაევი, 86), ალაჰვერდიევი (ალეკპეროვი, 84), გარიბოვი, პონომარიოვი, აჰმედოვი, ჯავადოვი; „დინამო“ - გაბელია, სვანაძე, ჩივაძე, ჭედია, ცვეიბი, რევიშვილი, ჟორდანია (ფანცულაია, 75), სულაქველიძე, ცაავა, კაკილაშვილი (შენგელია, 58), გურული.**

მსაჯი ი. ტიმოშენკო (დონის როსტოვი). გაათრთხილეს პანჩიკი, სვანაძე.

დუბლიორები - 1:1. თბილისელთაგან ბურთი გაიტანა გოგრიჭიანმა.

“ლელო”, 12.05.1987